

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3-4
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება--	5-6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7-8
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი -----	9-10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11-25

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

აქტივები	განმარტებითი შენიშვნა №	31/12/2023	1/1/2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,681,059	2,038,585
		1,681,059	2,038,585
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	4,344	16,057
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	5,024,838	6,416,082
მარაგები	7	-	-
		5,029,182	6,432,140
მთლიანი აქტივები		6,710,241	8,470,724
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(10,546,179)	(8,102,539)
		(10,546,179)	(8,102,539)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	388,775	621,563
გადავადებული შემოსავალი	9	-	57,880
		388,775	679,444
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	15,684,777	15,005,941
საგადასადო ვალდებულებები	11	345,765	358,325
მოკლევადიანი სესხები	12	591,200	283,000
გადასახდელი პროცენტი	13	245,904	246,553
		16,867,645	15,893,819
მთლიანი ვალდებულებები		17,256,420	16,573,263
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,710,241	8,470,724

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

აქტივები	განმარტებითი შენიშვნა №	31/12/2023	1/1/2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,681,059	2,018,585
		1,681,059	2,038,585
მოკლევადიანი აქტივები			
დღის და დღითავე გათვალისწინებული ინსტრუმენტები	5	4,344	10,057
საგადასახადო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	5,024,838	5,415,083
ძირაგები	7	-	-
		5,029,182	5,425,140
მთლიანი აქტივები		6,710,241	8,470,724
მთლიანი კაპიტალი			
გაწესებული მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(10,546,179)	(8,202,339)
		(10,546,179)	(8,102,539)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	389,775	671,563
ვალდებულებები შემოსავალი	9	-	57,880
		389,775	679,444
მოკლევადიანი ვალდებულებები			
აქტივები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	15,684,777	15,085,541
საგადასახადო ვალდებულებები	11	345,765	358,325
მოკლევადიანი სესხები	12	591,230	283,100
ვალდებულებები პროცენტი	13	205,908	246,553
		16,867,645	15,893,419
მთლიანი ვალდებულებები		17,256,420	16,573,163
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,710,241	8,470,724

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი ნ. სიხარულიძე 02037611 ნინო სიხარულიძე



შპს სადისტრიბუციო კომპანია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მოგება/ზარალი	განმარტებითი შენიშვნები №	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები	14	26,642,519	18,608,473
თვითღირებულება	15	(131,282)	(80,478)
საერთო მოგება		26,511,236	18,527,995
მიწოდების დანახარჯები	16	(27,217,802)	(18,573,598)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	17	(1,500,769)	(1,855,924)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	104,285	(29,715)
სხვა ხარჯები	19	(79,293)	(26,652)
საოპერაციო მოგება		(2,182,344)	(1,957,893)
ფინანსური შემოსავალი	20	12,648	6,637
ფინანსური ხარჯი	21	(260,639)	(299,443)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(247,991)	(292,806)
მოგება დაბეგვრამდე		(2,430,334)	(2,250,699)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(2,430,334)	(2,250,699)

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარიში)

მოგება/ზარალი	განმარტებითი მენიშნები	31/12/2023	31/12/2022
აბონენტები	14	26,642,329	18,409,473
დღიური/რეზიდენცია	15	(131,262)	(36,478)
საერთო მოგება		26,511,067	18,372,995
წარუდგენი დამატებითი	16	(27,717,802)	(18,575,198)
შედეგი & ადმინისტრაციული ხარჯი	17	(1,510,755)	(1,875,524)
სტატუსი/დამატებითი/ზარალი - მართვა	18	104,285	(19,711)
სხვა ხარჯები	19	(75,295)	(26,852)
საბუღალტრო მოგება		(2,488,490)	(1,867,802)
დამატებითი შემოსავალი	20	12,618	6,457
დამატებითი ხარჯი	21	(2,606,637)	(259,465)
დამატებითი ხარჯი - მართვა		(2,478,921)	(252,809)
მოგება დასაწყისში		(3,452,334)	(2,252,899)
წარუდგენი დამატებითი			
შედეგი/მოგება		(2,490,334)	(2,250,899)

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი 6 სხადიძე 402037611 ნინო სიხარულიძე



შპს სადისტრიბუციო კომპანია

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(8,102,539)	(8,102,539)
წმინდა მოგება	-	-	(2,430,334)	(2,430,334)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(2,430,334)	(2,430,334)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(13,306)	(13,306)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(10,546,179)	(10,546,179)

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

საშესაღებო კაპიტალი	გაფორმების ჩატარება	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	[8,102,519]	[8,102,519]
ერთიანი მოგება	-	[7,610,514]	[2,490,334]
მთლიანი მოგება	-	(2,610,314)	(2,490,334)
გაუნაწილებელი მოგება	-	(13,300)	(13,300)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	[10,546,179]	[10,546,179]

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

6. სიხაყ დიძე



ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023	2022
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(11,734)	10,962
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(11,734)	10,962
სავალუტო კურსის ეფექტი	21	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,057	5,095
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,344	16,057

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

ფულადი სახსრების მოძრაობა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023	2022
	საბგარიშვები პერიოდი	საბგარიშვები პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საიუზიაციო საქმიანობიდან	11,734	10,992
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი და ფულადი ანაზღაურებები	(11,734)	10,992
საბგარიშვების კოეფიციენტი	21	-
ფულადი და ფულადი ანაზღაურებები წლის დასაწყისში	16,057	3,065
ფულადი და ფულადი ანაზღაურებები წლის ბოლოს	4,344	14,057

2023 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნ. სიხარულიძე



ნინო სიხარულიძე

შპს სადისტრიბუციო კომპანია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სადისტრიბუციო კომპანია (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2016 წლის 10 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ნ.ხოშარაულის ქ.№29, ბ.115

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 49% წილის მფლობელია მიტროფანე ჯალაღონია, 51% წილის მფლობელია - ოთარ ბუბაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფილმების გაქირავება და სარეკლამო მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარებში), რომელიც წარმოადგენს კომპანიის წარსადგენ და სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის

ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 და 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, 2023 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2022 და 2023 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა მასზე საკუთრების უფლება.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება, როდესაც ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან შემოღებული ცვლილებით, რომელიც გულისხმობს მიღებული ავანსების დღე-ით დაბეგვრას).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის,

გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო

მდგომარეობაში მოყვანასთან. კომპანიას აქვს ფინანსური იჯარით ფლობილი ძირითადი საშუალებები, რომლებზეც უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

მოწყობილობები და დანადგარები	15	წელი
------------------------------	----	------

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

31 დეკემბერი 2022	1,712,219
შემოსავლა	6,185
31 დეკემბერი 2023	1,718,404
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	(841,492)
პერიოდის ცვეთა	(172,402)
31 დეკემბერი 2023	(1,013,894)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	870,727
31 დეკემბერი 2023	704,510

არამატერიალური აქტივები	
31 დეკემბერი 2022	1,933,097
შემოსავლა	-
31 დეკემბერი 2023	1,933,097
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	(765,239)
პერიოდის ცვეთა	(191,310)
31 დეკემბერი 2023	(956,549)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	1,167,858
31 დეკემბერი 2023	976,548

კომპანიას ძირითადი საშუალებები იჯარით აქვს აღებული. იჯარის პერიოდი 4-5 წელია, რის შემდეგაც კომპანია ხდება ამ აქტივების მფლობელი.

ძირითადი საშუალებების კლასი სრულად მოიცავს ოდენობას, რომელსაც კომპანია ფინანსური იჯარის ფარგლებში, როგორც მოიჯარე ფლობს.

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივს (ფილმების საჯარო ჩვენების უფლება) , რომელიც შექმნილია და წარმოდგენილია არამატერიალური აქტივის სახით. არამატერიალური აქტივის ცვეთის მეთოდი არის წრფივი მეთოდი და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შეზღუდული ფული*	330	9,612
ფული საღარიბოში	28	28
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,186	4,785
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	798	1,632
სულ	4,342	16,057

*შეზღუდული ფული წარმოადგენს თანხას, რომელიც ჯერ არ არის ასახული საბანკო ანგარიშებზე (ტერმინალებზე განხორციელებული ოპერაციები).

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	3,007,640	5,464,488
გადახდილი ავანსები	432,559	156,559
მოთხოვნა მეკავშირე საწარმოს მიმართ	6,000	6,000
გაცემული სესხი	582,700	0
გაცემული სესხიდან მისაღები პროცენტი	12,079	0
მიღებულ ავანსებზე წინასწარ გადახდილი დღგ	983,861	789,035
სულ	5,024,839	6,416,082

გადახდილი ავანსი (432,559) წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხას მომწოდებელზე, ამ თანხის ფარგლებში შემდგომ საანგარიშო პერიოდში უნდა მოხდეს მომსახურების შესრულება საბაზრო პირობებით.

მიღებულ ავანსებზე წინასწარ გადახდილი დღგ (983,861) - გადახდილია ბიუჯეტში შესაბამის ვადებში, კერძოდ როდესაც მოხდა თანხების ავანსად მიღება.

შენიშვნა 7

მარაგები

მარაგები 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მზა პროდუქცია	0	0
სულ	0	0

ვინაიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მომსახურებას და არა საქონლის რეალიზაციას ამიტომ კომპანია 2023 წლის დასრულებული პერიოდისთვის არ გააჩნია სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

შენიშვნა 8

ფინანსური იჯარის ვალდებულება

საწარმოს 5 წლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს მოწყობილობები და დანადგარები, რომელთა სარგებლობის ვადა შეფასებულია როგორც 15 წელი. ფინანსური იჯარის ვადის ბოლოს საკუთრების უფლება გადმოდის კომპანიაზე. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გრძელვადიანი ვალდებულებები სრულად წარმოადგენს ფინანსურ იჯარას.

შენიშვნა 9

გადავადებული შემოსავალი

	2023	2022
გადავადებული შემოსავალი	0	57,880
სულ	0	57,880

2023 წლის 31 დეკემბერს გადავადებული შემოსავლის თანხა 0 ლარი (2021 წელს 289,401 ლარი) დაკავშირებულია ფინანსურ იჯარასთან. კომპანიამ მოახდინა ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, რომლებიც შემდეგ ისევ აიღო ფინანსური იჯარით. ამ შემთხვევაში მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ვადის მიხედვით.

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 01 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	9,429,734	9,938,147

გადასახდელი ხელფასები	-4,950	0
მიღებული ავანსები	6,259,993	5,067,794
სულ	15,684,777	15,005,941

შენიშვნა 11

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საშემოსავლო გადასახადები	-636	319
დღგ	582	358,006
გაცემულ ავანსებზე გადახდილი დღგ	43304	0
გადახდილი დღგ	-4036	0
ერთიანი კოდი	306550	0
ქონება	-1.41	<u>0</u>
სულ	345,763	358,325

შენიშვნა 12-13

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მოკლევადიანი სესხები	591,200	283,000
მასზე დარიცხული პროცენტი	245,904	246,553
სულ სასესხო ვალდებულება	837,104	529,553

შენიშვნა 14

ამონაგები

	2023
საქონლის გაყიდვა	144,410
მომსახურების გაწევა	26,498,109
სულ	26,642,519

შენიშვნა 15

თვითღირებულება

თვითღირებულება 131,282 ლარი სრულად დაკავშირებულია საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებთან.

მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს მარკეტინგულ დანახარჯებს და სხვა სარეკლამო ხარჯებს.

შენიშვნა 16

მიწოდების დანახარჯები

მიმდინარე წლის მიწოდების დანახარჯები შეადგენს 27,217,802 (2022 წელს 18,573,598) რომელიც მოიცავს კომპანიის ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ მიწოდების დანახარჯებს (რეკლამის ხარჯები, ფილმების გახმოვანების დანახარჯები, და ა.შ.)

შენიშვნა 17

ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2023
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაციული)	804,564
ბანკის მომსახურების ხარჯი	225,946
იჯარა	8,136
საკანცელარიო ხარჯი	1,818
კომუნიკაციის	33,628
დაზღვევა	23,384
ცვეთა და ამორტიზაცია	363,711
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	39,581
სულ	1,500,769

შენიშვნა 18

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023
მოგების გადასახადი - სხვა	(6,252)
საურავი	(2,296)
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება	88,662
სხვა ფინანსური შემოსავალი	24,170
სულ	104,285

შენიშვნა 19

სხვა ხარჯები

	2023
საკუროსო სხვაობით მიღებული ზარალი	(34,655)
მოგებით დასაბეგრი ხარჯი	(33,224)
სხვა საერთო ხარჯი	(11,414)
სულ	(79,293)

შენიშვნა 20-21

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2023
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(260,639)
სულ ფინანსური დანახარჯები	(260,639)

ფინანსური შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი

12,648

სულ ფინანსური შემოსავალი

12,648

ნეტო ფინანსური შემოსავალი

(247,991)

დაკავშირებული მხარეები

	2023
მომსახურების და საქონლის რეალიზაცია ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე	13,351,925.00
სულ	13,351,925.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსთვის საქონლის და მომსახურების მიწოდება მოხდა დაბაზრო პირობებით	

	2023
მომსახურების და საქონლის შესყიდვა ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებიდან	18,695,920.00
სულ	18,695,920.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებიდან საქონლის და მომსახურების შესყიდვა მოხდა საბაზრო პირობებით	

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	243,596
სულ	243,596

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2024 წლის 31 აგვისტოს.